პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 32 (5841)

1977 წ.
15 თებერვალი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისში სტუმრად იმყოფება ქალაქ ლიუბლიანის სპორტული დელეგაცია. იუგოსლაველი სტუმრები გაეცნენ ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, შეხვდნენ თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ჟურნალისტებს.

გუშინ ლიუბლიანელები ეწვივნენ გამარჯვების პარკს და ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

* * *

სურათზე: ქალაქ ლიუბლიანის სპორტული დელეგაცია უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მშობლიური ხალხის სამსახურში

საქართველოს რადიომაუწყებლობის 50-ე და ტელევიზიის მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო

რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა საქართველოს რადიომაუწყებლობის 50-ე და ტელევიზიის მე-20 წლისთავი. ამ თარიღს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 12 თებერვალს გაიმართა საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვ. სირაძემ.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კოლექტივისადმი წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **პ. გილაშვილმა.**

მოხსენება „საქართველოს რადიომაუწყებლობის 50-ე და ტელევიზიის მე-20 წლისთავი“ საღამოზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. ენუქიძემ.**

რესპუბლიკის რადიო და ტელეჟურნალისტებს სახელოვანი იუბილე მიულოცეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა **გ. აბაშიძემ,** „თბილისქალაქმშენის“ № 15 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა **ტ. ქართველიშვილმა,** აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ე. ყულიევმა,** მესტიის რაიონის სოფელ მულახის კოლმეურნემ **ა. ჟორჟოლიანმა,** სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **რ. ვართანიანმა,** საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა **ვ. კობახიძემ,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ **მ. გოგლევმა,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა **ნ. თათარაშვილმა,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსმა **მ. ჩერედილოვმა,** დიასახლისმა **ხ. იაშვილმა.** მან სატელევიზიო ფილმების საიუბილეო ფესტივალის გამარჯვებული ფილმის — „თუში მეცხვარის“ შემქმნელებს—დამდგმელ რეჟისორს ს. ჩხაიძეს და დამდგმელ ოპერატორს ი. ონოფრიშვილს გადასცა ტელემაყურებელთა მთავარი პრიზი.

ქართველ რადიო და ტელეჟურნალისტებს, მათი სახით კი რესპუბლიკის ყველა მშრომელს იუბილე გულითადად მიულოცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ს. ლაპინმა.**

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე **ბრეჟნევისადმი.**

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები **გ. კოლბინი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ე. შევარდნაძე, თ. მოსაშვილი, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი,** ჟურნალ „ჟურნალისტის“ მთავარი რედაქტორი **ვ. ჟიდკოვი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ზ. გელდიაშვილი, ვ. ვადაჭკორია, ი. ქედიშვილი, ე. ჯაფარიძე.**

დიდ საზეიმო კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, მოსკოვისა და სომხეთის ხელოვნების ოსტატებმა, (საქინფორმი).

როცა მიზანი ასე ახლოა

კალათბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

თბილისი. სპორტის სასახლე. 13 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 88:89 (49:53).

„დინამო“: მ. ქორქია (22), დერიუგინი (21), პულავსკი (12), ჩიხლაძე (9), ბიჭიაშვილი (8), ჩხიკვაძე (6), ი. ძიძიგური (4), მაღალთაძე (4), ნ. ქორქია (2).

ცსკა: ს. ბელოვი (21), ედეშკო (20), ჟარმუხამედოვი (15), ერიომინი (12), ე. კოვალენკო (6), ს. კოვალენკო (6), პეტრაკოვი (5), მიშკინი (4).

მსაჯები: დ. დავთიანი (ერევანი), გ. კალაშნიკოვი (ზაპოროჟიე).

დუბლიორები — 70:87 (36:38).

როგორი მდგომარეობაც უნდა ჰქონდეთ ამ გუნდებს სატურნირო ცხრილში, ბრძოლა მათ შორის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მუდამ მძაფრია, საინტერესო და უშეღავათო. ეს ტრადიცია დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც ცსკა-მ საბჭოთა კალათბურთის მედროშის როლი იტვირთა. ეს ბრძოლა თავისი მნიშვნელობითა და დრამატიზმით ფსიქოლოგიური უფროა, თორემ ობიექტური მონაცემებით საბჭოთა კი არა, ევროპულ კალათბურთშიც დღესდღეობით არ არსებობს ისეთი ძალა, წინ რომ აღუდგეს ამ გუნდს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს, რომელ იარაღს მიმართავს მიზნის მისაღწევად — ფსიქოლოგიურს თუ მატერიალურს? მთავარია ბრძოლის ხერხი იყოს რაციონალური, ნებადართული და არ გასცდეს წესებით რეგლამენტირებულ ჩარჩოებს.

ცსკა თბილისში ჩამოვიდა, როგორც ერთადერთი და განუმეორებელი უფლებებით მოსილი ლიდერი 44-ე საკალათბურთო ჩემპიონატისა. იგი ამ როლში სხვა დროსაც გვინახავს, მაგრამ, რა დასამალია, გუნდის წლევანდელი მოდელი თითქმის უახლოვდება იდეალს. აქ საქმე მხოლოდ შემადგენლობის დონესა და სტაბილურობაში როდია, მთავარი მიზეზი, ამ ღირსებებთან ერთად, თამაშის უაღრესად თანამედროვე და უნიკალურ ორგანიზაციაში უნდა ვეძებოთ.

მოსკოვის არმიელთა კოლექტივი — ესაა ერთხელვე სწორად მომართული მექანიზმი, რომელიც აგერ უკვე ათობით წელია შეუფერხებლად მუშაობს. ამ მექანიზმისთვის უცხოა კალათბურთში ფართოდ გავრცელებული ტერმინები — მეტოქისა და საკუთარი მოედანი, ძლიერი და სუსტი მოწინააღმდეგე, აღმაფრენა და დროებითი მარცხი, კანონზომიერება და, ბრმა შემთხვევა. გუნდი ერთგულია თავისი თავისა, თავისი პრინციპებისა, „თამაშობს“ ლოგიკურ და მწყობრ კალათბურთს და ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ ამ პრინციპების ერთგული დარჩეს ბოლომდე, თუ გნებავთ, ამ ჩემპიონატის ფინიშამდე.

ეს ყველაფერი, როგორც უკვე ვთქვით, საბჭოთა კალათბურთის ლიდერს არსებითად განასხვავებს დანარჩენებისგან. მაგრამ მას არა აქვს მხოლოდ, და ეს გუნდის ტრადიციაა, თავისი დონის შესაბამისი ფსიქოლოგიური სიმტკიცის მარაგი. აი ერთადერთი კოზირი, რასაც არმიელი კალათბურთელები უხალისოდ აძლევენ ხოლმე მეტოქეს და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამ აზრს უსათუოდ უნდა დავეთანხმოთ, თორემ, ეს ერთი შეცდომა რომ არა, საერთოდ უადგილო იქნებოდა საკავშირო ჩემპიონატში უმაღლეს ტიტულზე ფიქრი და ჩვენი საკალათბურთო ცხოვრების ეს უმნიშვნელოვანესი სტიმული ფორმალურ უფლებად გადაიქცეოდა.

ამ ბოლო წლებში თბილისი არმიელი სპორტსმენებისთვის ფსიქოლო-

(დასასრული მე-3 გვ.).

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა VIII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

ტექნიკური შედეგები

მსუბუქი წონა. 1. გ. კრიუგერი (გდრ), 2. ვ. რაზდოლკინი, 3. მ. ილინიჩი (ორივე — სსრ კავშირი) და თ. ნამგალაური (საქართველო).

ქვემსუბუქი წონა. 1. ა. ობგაიძე (საქართველო), 2. ტ. რაისმანი (გდრ), 3. ო. ზურაბიანი (საქართველო) და რ. სნახოვი (სსრ კავშირი).

მძიმე წონა. 1. ე. პოგორელოვი (სსრ კავშირი), 2. დ. გელიაშვილი (საქართველო), 3. ჰ. მარაევი და ა. რუსანოვი (ორივე — სსრ კავშირი).

აბსოლუტური. 1. ჯ. ნიჟარაძე (საქართველო), 2. ი. ვარგა (უნგრეთი), 3. ა. პარიზი (საფრანგეთი) და ლ. იპაზი (უნგრეთი).

●

(შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

სურათზე: თბილისელ დ. გელიაშვილისა და ვოლგოგრადელ ე. პოგორელოვის ფინალური შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მოსიძე კვლავ ჩემპიონია

ჰადრაკის სასახლეში დამთავრდა თბილისის ქალთა პირველობა ასუჯრიან შაშში. შეჯიბრება, რომელშიც ექვსი სპორტსმენი მონაწილეობდა, ორ წრედ ჩატარდა.

ჩემპიონის სახელი კვლავ თბილისის 126-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა მ. მოსიძემ მოიპოვა — 9,5 ქულა 10-დან.

II ადგილზეა ლ. ზოლოტუხინა (8,5 ქულა), III — ე. შვედოვა (6), IV — მ. ჩიქვილიძე (4).

ს. ველთაური,
პირველობის მთავარი მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

„მხოლოდ კრებებზე"...

ამას წინათ ქობულეთის რაიონის სოფელ ხალიდან რედაქციაში წერილი მოვიდა — „სპორტის მოყვარულთა ჯგუფი" გვწერდა, რომ კეთილმოწყობილი საფეხბურთო მინდორი არა აქვთ, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევს ადგილობრივი ახალგაზრდების მოთხოვნებს. უფრო მეტიც, მათ მიერ მოწყობილ სპორტულ სარბიელზე თავმჯდომარის განკარგულებით ძელები ამოუთხრიათ...

ამ წერილით დაინტერესებული ქობულეთში გავემგზავრეთ და კომკავშირის რაიკომს მივაშურეთ. როცა რაიკომის პირველ მდივანს თ. ჯაფარიძეს წერილის შინაარსი გავაცანით, გაიკვირვა. „არა მგონია ხალაში ასეთი მდგომარეობა იყოს, თორემ ახალგაზრდა აქტივისტები ამ ამბავს უყურადღებოდ არ დატოვებდნენ. მართალია, სტადიონისთვის შესაფერი ადგილი არ ჰქონიათ, მაგრამ კომკავშირის რაიკომის ჩარევით ეს საქმე მოწესრიგდა", — გვითხრა მან.

ჩვენ მაინც ხალაში ჩასვლა გადავწყვიტეთ...

— არ ვიცი, რომელ სტადიონს გულისხმობენ „სპორტის მოყვარულები", — გვითხრა ხალის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა რ. ფალავანდიშვილმა, — შეიძლება იმ მოედანზეა ლაპარაკი, სადაც ამ ერთი თვის წინათ გამგეობისთვის ახალი შენობის აგება დაიწყეს, მაგრამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ ხომ სამაგიეროდ ერთ ჰექტარზე მეტი ფართობი გამოუყო ახალგაზრდებს.

— სანამ გორგაძეები ხალას შეუერთდებოდა, ორივე სოფელს ჰქონდა მარტივი ტიპის კომპლექსური მოედნები, მაგრამ კოლმეურნეობის გამსხვილების შემდეგ, როცა ახალი სარბიელის მოსაწყობად გამოიყო ადგილი, ძველი ბაზები მოივიწყეს, — ჩაერია საუბარში აგრონომი ა. გვარიშვილი.

— ახალგაზრდები მხოლოდ კრებებზე გვთხოვენ დახმარებას, — ამბობს კოლმეურნეობის მშენებელი ინჟინერი მ. გვარიშვილი, — როცა საქმე საქმეზე მიდგება, მუშაობას თავს არიდებენ.

მასპინძლებთან საუბარში ისიც გამოირკვა, რომ არც კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტის ი. პოლტაჩიძის ნახვაა იოლი. ივა ქობულეთის ფეხბურთელთა გუნდის „შუქურას" წევრი ყოფილა, და, თურმე, იშვიათად იცლის ფიზკულტურელებთან სამუშაოდ.

ვერც კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია დგას სათანადო სიმაღლეზე. ეტყობა, კომკავშირელთა თავკაცებმა ვერ მოახერხეს ახალგაზრდების დარაზმვა.

კოლმეურნეობის აგრონომმა ა. გვარიშვილმა ის შენობაც გვაჩვენა, სადაც ერთ დროს საჭიდაო დარბაზი (6×7) ჰქონიათ. როცა მეთოდისტად სპორტის ოსტატობის კანდიდატი რ. ხალვაში მუშაობდა, კლასიკური ჭიდაობის სექციის წევრებიც ხალისით მეცადინეობდნენ, მერე კი გული აიყარეს. უქმად დარჩენილი შენობა კოლმეურნეობამ გამოიყენა.

— ამ დარბაზს დღესვე გავათავისუფლებთ, თუ ახალგაზრდები უწინდებური მონდომებით ივარჯიშებენ, — ამბობს ა. გვარიშვილი.

ვნახეთ ხალის ყოფილი სპორტული მოედანიც, რომელიც ახალგაზრდების უყურადღებობის გამო გავერანებულია. არადა, ამ ადგილზე წინათ კოლმეურნეობას ციტრუსები ჰქონია გაშენებული, მაგრამ ახალგაზრდებისთვის სპორტული სარბიელი რომ მოეწყოთ, ამდგარან და სხვაგან გადაურგავთ.

შემდეგ სოფელ გორგაძეებს ვესტუმრეთ. ვნახეთ იქაური მოედანიც: ფრენბურთის ძელები ჩამპალა და დამტვრეულა, აღდგენაზე კი არავის უფიქრია. სტადიონისთვის გამოყოფილი მოედანი შემოღობილია, მაგრამ მოსავლელია. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა და კომკავშირული ორგანიზაცია სათავეში უნდა ჩაუდგნენ ახალგაზრდებს, რათა სტადიონისთვის გამოყოფილი ტერიტორია უახლოეს ხანში კეთილმოაწყონ.

ვ. დანელია.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფელი ხალა,
ქობულეთის რაიონი.

კარჩაკეტილი მეზობლები

მცხეთის რაიონის მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა მეათე ხუთწლედის პირველი წელი. ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმაც შეიტანეს. მეურნეობაში კარგად იციან, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ წრთობას, ნაყოფიერი შრომის შემდეგ აქტიურ, გონივრულ დასვენებას. 225 მუხრანელი ფიზკულტურელი ფრენბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, შაშისა და ტურიზმის სექციებშია გაერთიანებული.

მუდამ დიდ ინტერესს იწვევს მეურნეობის სპარტაკიადა, რომელიც 1975 წლიდან ტარდება და მუხრანის მკვიდრის, სამამულო ომის მონაწილე მფრინავ კარლო მებაღიშვილის სახელს ატარებს. ასპარეზობის პროგრამაში 5 სახეობაა შეტანილი.

— სპარტაკიადა სოფელში დიდად პოპულარულია. შეჯიბრებებს მუდამ დიდძალი მაყურებელი ესწრება. ამიტომ განზრახული გვაქვს წლეულს პროგრამა გავზარდოთ, ასპარეზობაში ფართოდ ჩავაბათ სოფლის ახალგაზრდობა, პერსპექტიული სპორტსმენები, — გვითხრა ფიზკულტურის მეთოდისტმა შალვა შახნაზაროვმა.

მეურნეობაში გამართულმა შეჯიბრებებმა ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. დავასახელოთ მაგალითად, ფეხბურთელი ზ. მიქელაძე, მძლეოსნები ნ. ხუციშვილი, თ. შაშურაშვილი, მოჭადრაკე ვ. მეხატიშვილი და სხვები. დღეს ისინი სოფლის უძლიერესი სპორტსმენები არიან და სხვადასხვა შეჯიბრებებში წარმატებით იცავენ მეურნეობის ღირსებას. მაგალითად, მძლეოსანმა ნოდარ ხუციშვილმა შარშან გაზეთ „მცხეთის" პრიზი მოიპოვა მძლეოსნურ კროსში. მძლეოსანთა რაიონულ შეჯიბრებაში წარმატება ხვდა სამმხტომელ თ. შაშურაშვილს.

შარშან ყველაზე მეტად მაინც მოჭადრაკეებმა გაახარეს თანასოფლელები. რაიონულ სპარტაკიადაში მათ ყველა შეხვედრა მოიგეს და დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონობა. ჭადრაკის სექციას, რომელშიც 20 კაცია გაერთიანებული, მეურნეობის მთავარი ეკონომისტი ბ. სოკორაშვილი ხელმძღვანელობს. სექციის წევრები კვირაში სამჯერ მეცადინეობენ, ამხანაგურ შეხვედრებს აწყობენ მეზობელი სოფლების ნაკრებ კოლექტივებთან. შარშან წილკნის, ძალისის, დიღმის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობის გუნდებს შეხვდნენ და წარმატებასაც მიაღწიეს.

მოჭადრაკეებს არც კალათბურთელები და ფრენბურთელები ჩამორჩნენ, რომლებმაც შარშან რაიონულ სპარტაკიადაში მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს. რამდენიმე მუხრანელი სპორტსმენი რაიონულ ნაკრებ გუნდებში ჩარიცხეს.

კარგად მუშაობს ტურიზმის სექცია მეურნეობის მთავარი აგრონომის ს. დალაქიშვილის ხელმძღვანელობით. ხშირად აწყობენ მრავალდღიან ლაშქრობებს, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან კარვების გაშლაში, აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

მუხრანელებს შარშან არც მშდ კომპლექსზე მუშაობის მხრივ ჰქონდათ ცუდად საქმე — 70 ნიშნოსანი მოამზადეს. მეურნეობის წარმომადგენლებმა მშდ-ს მრავალჭიდის პროგრამით გამართულ რაიონულ პირველობაში პირველი ადგილი მოიპოვეს. მძლეოსნობის სექციის წევრმა შოთა ბუთხუზმა წარმატებით იასპარეზა საქართველოს ზონალურ პირველობაში.

— ნიშნოსანთა მომზადებაში უკეთეს შედეგებს მივაღწევდით, საცურაო აუზი რომ გვქონდეს, — გვითხრა შ. შახნაზაროვმა, — ცურვაში ნორმატივების ჩასაბარებლად სპორტსმენები მცხეთაში დაგვყავს.

მართლაც, მუხრანელები სპორტული ბაზების მხრივ არ არიან განებივრებული. აქვთ მხოლოდ ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საჭიდაო დარბაზი. მეურნეობის პირველ და მეორე აგროუბნებშია მოწყობილი მარტივი ტიპის სპორტული ბაზები.

აქვე გვინდა მკითხველს მუხრანელ ფიზკულტურელთა ერთი გულისტკივილი გავუზიაროთ. სოფლის საშუალო სკოლას შესანიშნავი სპორტული დარბაზი და მოედნები აქვს, მაგრამ მეზობლები მეურნეობის სპორტსმენებს ამ ბაზებს საწვრთნელად კი არა, შეჯიბრების ჩასატარებლადაც არ უთმობენ. სკოლის დირექცია, სამწუხაროდ, ნაკლებად ფიქრობს სოფლის სპორტის საერთო განვითარებაზე, თორემ თუ „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო", რატომ არ შეიძლებოდა მათი ბაზები მეურნეობის სპორტსმენებისთვისაც დაეთმოთ თუნდაც ასპარეზობათა გასამართავად?

თ. მორგოშია.
სოფელი მუხრანი,
მცხეთის რაიონი.

„თებერვალი დადგაო"...

გორში უკვე იგრძნობა გაზაფხულის მოახლოება. სულ მალე ახმაურდება კულტურისა და დასვენების პარკები, წყალსაცავები, ღია სპორტული მოედნები... გაიხარებენ აქტიური დასვენებისა და სპორტის მოყვარულნი. მაგრამ ვისაც მხოლოდ ფიზკულტურა არ აკმაყოფილებს?

ქალაქის სპორტკომიტეტს ერთი დარბაზიც კი არა აქვს საკუთარი. მოჭიდავეები ცირკში ვარჯიშობენ, ტანმოვარჯიშეები — ეკლესიაში (?!). გორის „დილას" ფეხბურთელები პედაგოგიური ინსტიტუტის დარბაზში ვნახეთ...

სხვათა შორის, პედაგოგიური ინსტიტუტი სპორტული ბაზებით ყველაზე მდიდარია. სტუდენტ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს ღია ცის ქვეშაც შეუძლიათ ვარჯიში და სპორტულ დარბაზებშიც. ამიტომაც გორელ სპორტსმენთა ყოველი მიღწევა ფაქტიურად პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა წარმატებაა. თუმცა, არც სტუდენტთა სპორტული ბაზებია უნაკლო.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე შარშან ფეხბურთის მინდვრის მოწყობა განუზრახავთ. ადგილი გაუწმენდიათ, მიწა დაუყრიათ და... თოვლიც მოსულა. ასეთივე ბედი ეწია იქვე კალათბურთის მოედანს. გასახდელების კედლები ამოუყვანიათ, მაგრამ სახურავში ვეღარ მოუქცევიათ.

უამინდობის დროს, სტადიონის სარბენ ბილიკებზეც შეუძლებელია ვარჯიში — მთლად ატალახებულია.

კარალეთში, ნაჭარმაგევის ტბაზე შარშან ნიჩბოსნობის სექცია ჩამოყალიბდა. ბაიდარებიც შეიძინეს და ვარჯიშსაც შეუდგნენ. საერთოდ, ეს მიდამოები გორელთა საყვარელი ადგილია. უქმე დღეებში აქ დიდძალი ხალხი იყრის თავს, მაგრამ ამ ათიოდე დღის წინ ტბა ჯერ კიდევ გაყინული იყო და არც ატალახებულ მოედნებზე გვინახავს ვინმე.

ახლა სპორტის გორელ ქომაგებს დიდი გეგმები აქვთ. დავიწყოთ იმით, რომ სამი საცურაო აუზის აგებას აპირებენ. მთავრდება განათლების განყოფილების სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომლის დარბაზებშიც იმეცადინებენ მოჭიდავეები, ტანმოვარჯიშეები, ძალოსნები, მოკრივეები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები. შესასრულებელი დარჩა მოპირკეთების სამუშაოები, მაგრამ ჩვენი იქ ყოფნის დროს კაცის ჭაჭანება არ იყო, თუმცა არც უქმე დღე გახლდათ და არც შესვენების დრო. კომპლექსის გეგმით საცურაო აუზიც უნდა აიგოს, მაგრამ ჯერჯერობით საძირკველი არ ჩაუყრიათ.

„თებერვალი დადგაო". ახლა ხომ ჩიორაც საძირკველსა დგამს და გაზაფხულისთვის ემზადება... გორის სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შარშან საძირკველგადგმული სპორტული მოედნები და განათლების განყოფილების სპორტული კომპლექსი ამ გაზაფხულს მაინც უნდა შეხვდნენ ფართოდ გაღებული კარით.

ა. გურასაშვილი.
გორი. **(ჩვენი სპეც. კორ.).**

* * *

სურათებზე: გორის მშენებარე სპორტული ბაზები — განათლების განყოფილების სპორტდარბაზი; მომავალი საფეხბურთო მინდორი სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში; კალათბურთელთა გასახდელები.

ავტორის ფოტოები.



ყველაფერი თვითონ შეაკეთეს

ცხაკაიას დოსააფის რაიონულმა ორგანიზაციამ და ავტოსკოლამ საქართველოს დოსააფის IV ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად საგრძნობლად გარდაქმნა მუშაობა. საავტომობილო სკოლა ადრეც ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა. მარტო შარშან აქ სახალხო მეურნეობისთვის 217 მძღოლი მომზადდა. 161 მოყვარულმა მიიღო მანქანის მართვის უფლება, უკანასკნელ წელს საგრძნობლად გაფართოვდა სკოლის მატერიალური ბაზა, კეთილმოეწყო ეზო, დაიდგა სტენდები...

ამას წინათ გაიმართა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. ღონისძიება დოსააფის 50 წლისთავს მიეძღვნა. სარბიელზე 24 გუნდის 100-მდე სპორტსმენი გამოვიდა. ყველას აჯობა ტეხურის საბჭოთა მეურნეობის ნაკრებმა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ამ კოლექტივის წარმომადგენელმა თ. დეკანოიძემ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავტოსკოლის კოლექტივმა საკუთარი ძალებით შეაკეთა სკოლის შენობა — მოაწესრიგეს საკლასო ოთახები, ინვენტარი. ახლა აქ უფრო კარგი პირობებია ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდისთვის.

ი. ბუზუნავა.
(ჩვენი კორ.).
ცხაკაია.

სკოლას — ოლქის დროშა

დოსააფის ზუგდიდის საავტომობილო სკოლა შარშან ამიერკავკასიის რესპუბლიკების საავტომობილო სკოლებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება. ეს ღონისძიება დოსააფის 50 წლისთავს ეძღვნებოდა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისთვის ბრძოლაში აქ ბევრი რამ გაკეთდა. ტექნიკური კადრების მომზადების გეგმა 105 პროცენტით შესრულდა. სკოლის მსმენელთა 100 პროცენტმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები. ექსპლოატაციაში შევიდა ავტომანქანების სასწავლო ტექნიკური მომსახურების პუნქტი. სკოლას შეემატა ავტოდრომი, გაკეთდა 50-მეტრიანი ტირი და სხვ.

როცა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდა, ზუგდიდის ავტოსკოლას მიეკუთვნა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გარდამავალი დროშა.

ზუგდიდის ავტოსკოლის კოლექტივის ეს გამარჯვება იმანაც განაპირობა, რომ კარგად მუშაობდნენ ჭითაწყარის კოლმეურნეობის, საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭოს, № 7 მოძრავი მექანიზებული კოლონის პირველადი ორგანიზაციები.

ზ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).
ზუგდიდი.

რამდენიმე სტრიქონით

✦ **კასპი**

ახლახან აქ გაიმართა რაიონის საშუალო სკოლების უფროსი და უმცროსი ასაკის მოსწავლეთა გუნდების შეჯიბრება სამბოში. უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის პირველობა მოიპოვეს ლამისყანის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში უძლიერესი იყო დოესის საშუალო სკოლის გუნდი.

ლ. ელისაბედაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მიზანი ასე ახლოა

დასასრული





გიური სიმტკიცის გამოსაცდელ პოლიგონს წარმოადგენს. და ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვით, აბსოლუტური სიდიდე არც კალათბურთში არსებობს, ცსკა-ს სხვა მხრივ უნაკლო და შეუფერხებელ მექანიზმს ამ გამოცდისას ბზარი ეტყობა. ესეც უკვე დადგენილი ფაქტია, რომელსაც ზურგს უმაგრებს პრაქტიკა.

თბილისის „დინამომ" თავისი მორიგი მატჩი ყველაზე ძლიერ და საინტერესო მეტოქესთან სწორედ ამ ერთადერთი კოზირის გამოყენების ნიშნით წარმართა. ფსიქოლოგიური უპირატესობა — ეს მხოლოდ საწყისი ფორმა იყო, რომელსაც ბრძოლის პროცესში სხვა უფრო არსებითი და ხელმისაწვდომი გაგრძელება უნდა მიეღო, თუ, რა თქმა უნდა, ამ უპირატესობის ხორცშესხმა მოხერხდებოდა.

მაგრამ მარტო ამ ერთი ავანსით ცსკა-სთან თანაბარ დონეზე საუბარი ძნელია, თუ მას, ასევე ზურგს არ უმაგრებს შესაბამისი დონის ოსტატობა, მონდომება, ბრძოლის უნარი. ვიმეორებთ, ამ კომპონენტებში, რა თქმა უნდა გადამწყვეტია ფსიქოლოგიური ფაქტორი, მაგრამ ეს უკანასკნელი უსათუოდ მტკიცე კონტაქტში უნდა იყოს ადრე ჩამოთვლილ თვისებებთან.

შემოქმედებითი სრულყოფისკენ სწრაფვა „დინამოს" თანდაყოლილი თვისებაა. ამ სწრაფვის მატერიალიზაცია კი გუნდის თვითეული წევრის პირადი საქმეა და რამდენად სწორად განხორციელდება იგი, იმდენად მეტი პრობლემის გადაჭრა უხდება თბილისის „დინამოს" მეტოქეს. ცსკა-ს სულ მალე დასჭირდა ფიქრი ამ პრობლემაზე.

გარეგნულად ლიდერს თითქოს არაფერი ემუქრებოდა გუშინწინდელ მატჩში. იგი უფრო მტკიცე, უფრო ზუსტი და უფრო მობილური ჩანდა ბრძოლის ცალკეულ მონაკვეთებში, სწორედ ცალკეულ მონაკვეთებში და არა მთლიანად. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მე რომ მკითხოთ, ცსკა თავისი უპირატესობის ხორცშესხმას ყოველ შეხვედრაში საკუთარი ფარიდან იწყებს. ეს მისი დაუწერელი კანონია. ეს, ამავე დროს, თავისებური ფსიქოლოგიური კოზირიცაა, როცა შეტევაზე ან დაცვაში მყოფ გუნდს ფარის საკითხი აქვს მოგვარებული. კალათბურთი ერთ ფართან იწყება და მოპირდაპირე ფარით მთავრდება და, თუ ამ პოლუსების მისადგომები მტკიცე კონტროლის ქვეშაა მოქცეული, თამაშის ბედი გადაწყვეტილად შეიძლება ჩავთვალოთ.

ცსკა-ში ფარის უსაფრთხოებისთვის ხუთივე კალათბურთელი ზრუნავს. ესაა თამაშის სწორი ორგანიზაციის ერთი გარანტია. „დინამო" ამ მხრივ უფრო რთული და თავისებური ფენომენია, სადაც შავ, ერთი შეხედვით უეფექტო და შრომატევად საქმეს ბევრი არიდებს თავს. ეს დიდი ნაკლია, ვინაიდან სად კალათის მიმართულებით ზეაღმართული ხუთი წყვილი ხელი და სად ანალოგიური ბრძოლის იმიტაცია ერთი ან ორი კალათბურთელის ძალებით. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში ეს ერთი ან ორი პარტიზანული ცდა ისეთსავე ეფექტს იძლევა, როგორსაც ორგანიზებული დაცვის თავგანწირვა.

დღეს თამამად შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ მატჩის სიმწვავე და დაძაბულობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა მ. ქორქიას ჭეშმარიტად გმირულმა ბრძოლამ ფარის ქვეშ. ძნელია, ძალზე ძნელი, ყველა მომენტის სტენოგრაფიული აღნუსხვა, ისეთი სიხშირით მეორდებოდა ისინი ხან ერთი, ხან მეორე ფარის ქვეშ, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ მ. ქორქიას ამ ბრძოლაში ბადალი არ ჰყავდა.

ფარზე დაკარგული უპირატესობის ანაზღაურება არმიელებმა, ბუნებრივია „მოედანზე" სცადეს. მაგრამ აქაც შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. „დინამო" უბრძოლველად არ თმობდა სათამაშო მონაკვეთის არც ერთ მეტრს. აქაც იმავე მ. ქორქიას, პულავსკის, ჩიხლაძის, დერიუგინისა და სხვათა წყალობით აბსოლუტური თანაფარდობა დამყარდა.

მაშინ ლიდერმა ბრძოლაში ჩართო მთავარი იარაღი — სროლები (გახსოვთ ალბათ, რა დროს გამოვიდა მოედანზე ს. ბელოვი და როგორი ოსტატობით შემოაბრუნა თითქმის წაგებული ბრძოლის ჩარხი), მაგრამ არც ეს უნიკალური შანსი გამოდგა ამჯერად ეფექტური. ცსკა-მ ვერ მიაღწია უპირატესობას.

და აი, ამ პერიოდში შედრკა ლიდერი. არსებობს მომენტები, როცა ფსიქოლოგიურმა ან მატერიალურმა აკუმულაციამ ამა თუ იმ ფორმით უსათუოდ უნდა იჩინოს თავი. 32-ე წუთი ამ თვალსაზრისით ყველაზე მძიმე მოსაგონია არმიელთათვის („დინამო" 7 ქულით იყო წინ). მაგრამ, რაღაც ფატალური დამთხვევით სწორედ ამ მომენტში თბილისელთა რიგებს ერთბაშად ორი ძალა გამოაკლდა — პულავსკი და ჩხიკვაძე. „დინამოსთვის", სავსებით გასაგები მიზეზით, ეს აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო და მოსკოველებს სულის მოთქმის საშუალება მიეცათ.

მატჩის ბოლო წუთები ტიპიური მელოდრამა იყო ცსკა-სთვის ბედნიერი ფინალით. და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ცუდ მელოდრამაში, ერთმა მოუმზადებელმა, წინდაუხედავმა ნაბიჯმა წერტილი დაუსვა დრამატული ბრძოლის სიუჟეტს.

„დინამო" დამარცხდა, დამარცხდა მაშინ, როცა სულ ახლოს იყო მიზანთან. ამიტომ თამამად უნდა ვთქვათ — ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როცა გამარჯვებულის წილ აპლოდისმენტებს დამარცხებულიც იმსახურებს. სამწუხარო მხოლოდ ერთია — გავა დრო და დავიწყებას მიეცემა ამ საინტერესო ბრძოლის მთავარი სიუჟეტი, ისტორიას კი შემორჩება შედეგი და გუშინწინდელ მეტოქეთა შეხვედრების მშრალი ბალანსი.

აქ ალბათ შეიძლება კიდეც თხრობის დამთავრება, მაგრამ მაშინ უთქმელი დაგვრჩება ერთი სატკივარი: მსაჯთა მისამართით შენიშვნის გამოთქმა, რა თქმა უნდა, ეთიკური არ არის, მაგრამ არსებობს ზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელს შორის. მსაჯს უფლება აქვს შეცდეს, რაღაც ვერ დაინახოს, რაღაცაზე, ამა თუ იმ მოსაზრებით (უმთავრესად თამაშის ლოგიკიდან გამომდინარემ) თვალი დახუჭოს, მაგრამ, როცა არაკვალიფიციურობის მიზეზით (სხვა სიტყვას ვერც ვპოულობთ) წყალში იყრება ერთი გუნდის მონდომება და თავგანწირვა, ეს რიგით დანაშაულზე უფრო მეტია. გ. კალაშნიკოვის კვალიფიკაციის მსაჯს, ცხადია, არ უნდა ვანდოთ ასეთი მატჩის ბედი.

სწორად გაგვიგეთ: ჩვენ არამც და არამც არ ვამცირებთ გამარჯვებული გუნდის ღირსებებს და დამსახურებებს. კალათბურთელები ამ შემთხვევაში უმწიკვლონი არიან. მეტსაც გეტყვით, ამ მატჩში ოდნავაც არ იყო გამორიცხული მოსკოვის არმიელთა გამარჯვება უფრო დიდი ანგარიშით, მაგრამ, ვინაიდან ეს არ მოხდა, , კოლა ლოგიკური გზით უნდა განვითარებულიყო. ამაში ალბათ ცსკა-ს მწვრთნელი ა. გომელსკიც დაგვეთანხმება, რომელიც მთელი შეხვედრის მანძილზე დემონსტრაციულად გამოხატავდა უკმაყოფილებას ზემოხსენებული მსაჯის მისამართით.

ნ. ბუზუშვილი.

* * *

სამივე ფოტო მოსკოვის არმიელთა ფარქვეშ არის გადაღებული. სამივე შემთხვევაში დინამოელები თანაგუნდელთა შეტევებს ამთავრებენ. მარცხენა ფოტოზე ამ მატჩის გმირი მიხეილ ქორქიაა აღბეჭდილი. შუაში — ნიკოლოზ დერიუგინი, მარჯვნივ კი — ლევან ჩხიკვაძე.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ექსპერიმენტი წარმატებით ჩატარდა

ჯერ რამდენიმე სიტყვა ტურნირის შედეგებზე ზოგადად. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი საპრიზო ადგილი სსრ კავშირის ნაკრების წარმომადგენლებს ხვდათ. ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობა ამ ტურნირში არ იყო ლიმიტირებული და ცხადია, ჯილდოების მეტი ნაწილი მისი საკუთრება გახდა. სამი I, ორი II და ცხრა III ადგილი — ეს თბილისის VIII საერთაშორისო ტურნირის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგია.

მაგრამ არც ტურნირის ორგანიზატორთა მაჩვენებელია ურიგო. საქართველოს სამმა ფალავანმა (თემურ ხუბულური, ამირან ობგაიძე და ჯიბილო ნიჟარაძე) პირველი პრიზი მიიღო, ერთმა — დ. გელიაშვილმა (სხვათა შორის, იგი ასეთი რანგის ტურნირების დებიუტანტია) — მეორე, კიდევ სამმა (ელდარ დიმადაევი, ოლეგ ზურაბიანი და თამაზ ნამგალაური) — მესამე.

უცხოეთის მოჭიდავეთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გერარდ ჰეინკემ და გიუნტერ კრიუგერმა — ორი დარჩენილი პრიზი სწორედ მათ გაინაწილეს. ამას გარდა, გდრ-ის გუნდს ერგო კიდევ ერთი ჯილდო ტორსტენ რაისმანის II ადგილისთვის. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს საფრანგეთის (პირველ ყოვლისა ანჟელო პარიზიმ), პოლონეთისა და კუბის ძიუდოისტებმაც.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ წლეულს თბილისში არ ჩამოსულან ძიუდოს ფუძემდებლები — იაპონელი მოჭიდავეების შეჯიბრება საინტერესო გამოდგა როგორც სანახაობრივი, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით. ამას უსათუოდ შეუწყო ხელი ძიუდოს სტრუქტურული წყობის შემდგომმა დიფერენციაციამ.

იყო დრო, ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი მხოლოდ ერთ, ეგრეთ წოდებულ თავისუფალ კატეგორიაში ტარდებოდა. მას შემდეგ ძიუდომ ბევრჯერ იცვალა სახე, განსაკუთრებით მაშინ, როცა წმინდა იაპონური სახეობიდან ინტერნაციონალურ ჭიდაობად იქცა. დღეს ძიუდო მიუახლოვდა საერთაშორისო სპორტულ სტანდარტებს და ამიტომაც ამიერიდან ევროპას ან მსოფლიოს ექვსი კი არა, რვა ჩემპიონი ეყოლება.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი პირველი ექსპერიმენტული ბაზაა, რომელმაც ამ სიახლის სიცოცხლისუნარიანობა შეამოწმა. გამოცდა, სპეციალისტთა საერთო აღიარებით, წარმატებით ჩატარდა.

მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რომ მძიმე წონის სპორტსმენთა ასპარეზობაში გამოდიოდა ჩვენი სახელოვანი ფალავანი, ევროპისა და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ჯიბილო ნიჟარაძე. მან წარმატებით გაიარა ტურნირის პირველი ნახევარი, პრიზიორთა შორის კი ვერ მოხვდა. მაგრამ ნიჟარაძე იმ კატეგორიის მებრძოლთა რიცხვს არ ეკუთვნის, ბედს უსიტყვოდ რომ ურიგდებიან. მძიმე წონაში დაკარგულის ანაზღაურება მან აბსოლუტურ კატეგორიაში სცადა და მიაღწია კიდეც მიზანს. იგი ოთხჯერ გამოვიდა სარბიელზე, უფრო მეტჯერ, ვიდრე სხვა მისი მეტოქეები და არბიტრმა ოთხივეჯერ დროზე ადრე აუწყა ყველას მისი გამარჯვება. პირველი სამი ბრძოლის მოსაგებად (იუგოსლავიელ ანტონ ლესკოვართან, ფრანგ ჟან-პიერ ტრიპესთან და რუმინელ იაკობ კოდრიანთან) ნიჟარაძეს სამ წუთზე ცოტა მეტი დასჭირდა.

მეოთხე შეხვედრა უკვე ფინალური იყო — ფინალი უნგრელ იმრე ვარგასთან, რომელიც დიდი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას ამ შეხვედრისკენ. გადამწყვეტი ბრძოლა არ გამოდგა ეფექტური. იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი, ვინაიდან უნგრელმა პირველივე წუთიდან უარი თქვა ბრძოლაზე და მიზნად დროის გაყვანა დაისახა. მაგრამ 10 წუთი ძიუდოში არც ისე სწრაფად გადის. ვარგამ ორჯერ მიიღო ოფიციალური გაფრთხილება, ანუ „კეი-კოკუ" და, წესების თანახმად, მოიხსნა ბრძოლიდან. გამარჯვებაც და პირველი ადგილიც აბსოლუტურ კატეგორიაში ჯიბილო ნიჟარაძეს დარჩა.

ეს მოხდა კვირას, ტურნირის უკანასკნელ შეხვედრაში. წინადღით კი ქვემსუბუქ წონაში ასევე პირველი ადგილი მოიგო ამირან ობგაიძემ. პირველი ტური ძიუდოში, როგორც წესი, მშვიდად ვითარდება. მაგრამ ყოველი მომდევნო შეხვედრა ერთმანეთს აახლოებს ფავორიტებს და ბრძოლის სიმძაფრით გამოირჩევა. ობგაიძემ მეთოდურად ჩამოიცილა გზიდან მეტოქეები. მან ჯერ პოლონელ ზბიგნევ ზამენეცკის მოუგო, მერე რუსინ სნახოვი (სსრ კავშირი) დაამარცხა, კუბელ ვალენტინ ლისანოსთან „ურთიერთობის გარკვევას" კი სულ რაღაც 2 წუთი მოანდომა. ნახევარფინალში მისი მეტოქე გამოცდილი და ტიტულიანი გენადი ივშინი იყო. ძველი ნაცნობებისა და სპორტული მეტოქეების ჭიდილში უპირატესობა ამჯერადაც ობგაიძის მხარეს აღმოჩნდა და იგი ფინალში გავიდა.

მეორე ფინალისტმა ტორსტენ რაისმანმა (გდრ) „მთავარი ბრძოლა" მეოთხედფინალში მოიგო ოლეგ ზურაბიანთან. მერე მან კიდევ ერთი მეტოქე დაამარცხა და გადამწყვეტი შეხვედრა ობგაიძესთან აქტიურად დაიწყო. მაგრამ ენერგია დიდხანს არ ეყო. ამირანი ერთიორად უფრო მომზადებული და მობილიზებული ჩანდა. ამას სხვათა შორის, გერმანელიც გრძნობდა და თავს არიდებდა ზედმეტ რისკს. ამ შეხვედრაში არსებითი არაფერი მომხდარა, მაგრამ მსაჯებისთვის შედეგი აშკარა იყო. გამარჯვება ობგაიძეს მიეკუთვნა.

რაისმანთან მარცხის შემდეგ ოლეგ ზურაბიანი ზედმეტად აგზნებული გვეჩვენა. იმედის სერიაში მას კიდევ ჰქონდა დარჩენილი შანსი და პირდაპირ განაცხადა — ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებო. ოლეგმა ორი დამატებითი ბრძოლა მოიგო და საბოლოო ჯამში მესამე პრიზს დაეპატრონა. მე თუ მკითხავთ, ამ ტურნირში ყველაზე ლამაზი გამარჯვება სწორედ ის იყო, ზურაბიანმა ნიკოლოზ სოლოდუხინს სამ წუთ-ნახევარში რომ გამოჰგლიჯა ხელიდან.

არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ ჩვენი ახალგაზრდა მოჭიდავეები თამაზ ნამგალაური (მსუბუქი წონა), დიმიტრი გელიაშვილი და ალიბეგ ზურაბიანი (ორივე — მჩატე წონა). ნამგალაური ფიზიკურად ძლიერი და თამამი მებრძოლია, ნევზოროვთან შეხვედრაში კი სწორი ტაქტიკური აზროვნების უნარიც გამოიჩინა. სწორედ ამ შეხვედრაში წარმატებამ მოუტანა მას მესამე საპრიზო ადგილი მსუბუქ წონაში.

კიდევ უფრო შორს წავიდა თბილისის საერთაშორისო ტურნირის დებიუტანტი დიმიტრი გელიაშვილი. სამი შეხვედრა მან სულ რაღაც 6 წუთში მოიგო და ფინალში ევგენი პოგორელოვთან ჭიდაობის უფლება მოიპოვა. ეს თავისთავად დიდი მიღწევაა, მაგრამ ამბობენ, მადა ჭამაში მოდისო. თბილისელი ოსტატი პირველივე ცდიდან „დაემუქრა" მთავარ ჯილდოს, რომლის მისაღებადაც სხვებს წლები დასჭირდათ. გადაწყვეტილება თამამი იყო, სურვილი — კანონზომიერი, მაგრამ ერთსაც და მეორესაც აშკარად აკლდა საფუძველი. და გელიაშვილი დამარცხდა, თუმცა სიტყვა „დამარცხება" ამ შემთხვევაში, ვიმეორებთ, პირობითია.

თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირით გადაიფურცლა სამამულო ძიუდოს ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი. მან ბევრი დაგვიტოვა საფიქრალი და გადასაწყვეტი, ვინაიდან დღევანდელი წარმატებების ფონზე უფრო ნათლად და გამოკვეთილად ჩანს ხვალინდელი დღის პრობლემები...

ნ. ახვლედიანი.



ჯიბილო ნიჟარაძე



ანჟელო პარიზი

გ. ფირცხალავას მეგობრული შარჟები.

ნორჩი მოკრივის წარმატება

ამას წინათ ფოთში გაიმართა საქართველოს მოკრივეთა ჩემპიონატი, რომელშიც 1962-1963 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. I ადგილი დაიკავა ჭიათურის 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ გელა ვაშაძემ.

მწვრთნელებმა აღნიშნეს ნორჩი სპორტსმენის კარგი ტექნიკური ოსტატობა და ჩარიცხეს იგი რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

• • •

სურათებზე: სპორტის ოსტატი, მწვრთნელი თემურ ლორთქიფანიძე (მარცხნივ) ამეცადინებს გელა ვაშაძეს. ნორჩი ჩემპიონი (ცენტრში) კრივის მოყვარულ თანაკლასელთა შორის.

ა. მაჭავარიანის ფოტო.
(საქინფორმი).

მძლეოსნობა

ჟენევა. შვეიცარიის მუშათა სპორტკლუბმა „სატუსმა" „შამპელის" სტადიონზე მოაწყო საერთაშორისო კროსი, რომელშიც გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — კურსკელმა მორბენალმა მ. მარტინოვმა და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ნ. რადოსტევმა. მათ 8 კილომეტრი და 600 მეტრი 25 წუთსა და 56 წამში დაფარეს. მესამე იყო პ. სუშანი (ჩეხოსლოვაკია) — 26,03. პირველობა გუნდურ ჩათვლაშიც სსრ კავშირის სპორტსმენებს ხვდათ. „სატუსის" კროსში, რომელიც ეს უკვე ოცდამეცხრედ ჩატარდა, რვა ქვეყნის მორბენლები მონაწილეობდნენ.

ტორონტო. კანადის ამ ქალაქის დარბაზში გამართულ დიდ შეჯიბრებაში მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა, მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში როზემარი აკერმანმა (გდრ) 190 სმ გადალახა. ეს სეზონის უმაღლესი მიღწევაა. ჭოკით ხტომაში ყველას აჯობა ამერიკელმა მ. ტალიმ — 550 სმ. ეს ზამთრის სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგია.

ლუისვილი. ამერიკის ამ ქალაქში (კენტუკის შტატი) მეჩვიდმეტედ ჩატარდა ტრადიციული შეჯიბრება „მეზონდიქსონის თამაშები". ასპარეზობის ნამდვილი გმირი იყო ტანზანიელი სტუმარი, მსოფლიო რეკორდსმენი 1500 მეტრზე რბენაში ფ. ბეიი. მან ამ შეჯიბრების ისტორიაში პირველმა გაირბინა ერთი მილი 4 წუთზე ნაკლებ დროში — 3.57,2. ამერიკელმა ტ. ოლბრიტონმა წლევანდელ სეზონში ბირთვი ეს უკვე მეორედ გადაცალა 21 მეტრს — 21,06.

ექსპრესის ლენტიდან

ახალი ფორმულით

გორკში დაიწყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ტრამპლინიდან ხტომაში. წლეულს იგი ახალი ფორმულით ტარდება: შეჯიბრება ორ დღეს გრძელდება, მაგრამ შედეგები კი არ ჯამდება, არამედ ორივე ასპარეზობა თასის მფლობელს ცალ-ცალკე დაასახელებს. ამრიგად, შესაძლებელია ძვირფას ჯილდოს ორი პრეტენდენტი ვაუჩნდეს.

პირველი დღის შემდეგ დაწინაურდა კიროველი ოსტატი ა. ბოროვიტინი. იგი 101 და 103,5 მეტრზე გადახტა, საბოლოოდ კი 258,2 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა ს. საიჩიკი (ლენინგრადი) — 245,9 (ნახტომები — 99 და 101 მ), III — ი. ივანოვი (პეტროზავოდსკი) — 243,7 (98 და 101,5).

ჭადრაკი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობის ნახევარფინალში, რომელიც გორის მუსიკალური სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობს, გათამაშდა კიდევ სამი (IV, V, VI) ტური.

IV ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების ხ. გურგენიძისა (რუსთავი) და თ. მესხის (ქუთაისი) შეხვედრა. 23-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ლ. ფაჩუაშვილმა სძლია მ. ჯავახიას (ბათუმი), ც. ქასოშვილმა (გორი) — ნ. მელიას (სამტრედია), ნ. ხუბულურმა (გორი) — მ. კაკაბაძეს (მახარაძე), ნ. გოგიამ (ცხაკაია) — ნ. გუგეშაშვილს (ონი). დაზავდნენ ლ. აპრესოვა (გორი) — მ. ამირალოვა (ცხინვალი).

V ტურში პირველად დამარცხდა ფაჩუაშვილი. მას მესხმა მოუგო. გურგენიძემ გაიმარჯვა მელიასთან, ჯავახიამ — აპრესოვასთან, ამირალოვამ — გუგეშაშვილთან, ხუბულურმა — ქასოშვილთან და გოგიამ — კაკაბაძესთან.

VI ტურში გურგენიძემ ენდშპილში დაამარცხა ხუბულური, ფაჩუაშვილმა — მელია, მესხმა — აპრესოვა, გოგიამ — ამირალოვა, ქასოშვილმა — კაკაბაძე. ყაიმზე შეთანხმდნენ გუგეშაშვილი — ჯავახია.

I ტურიდან გადმოტოვებულ პარტიებში გურგენიძემ მოუგო გოგიას, აპრესოვამ — კაკაბაძეს.

6 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ხ. გურგენიძე — 5,5 ქულა, ლ. ფაჩუაშვილი — 5 და თ. მესხი — 4,5.

ო. დოლიძე,
ნახევარფინალის მთავარი მსაჯის მოადგილე.

ფრენბურთი

 იზმირი. 14 თებერვალი. (საკ-დესის კორ.). მოსკოვის „დინამოს" ფრენბურთელ ქალთა გუნდმა ფინალური ტურნირის ბოლო დღეს დაამარცხა გდრ-ის „ტრაქტორი" ანგარიშით 3:1 (15:4, 15:6, 13:15, 15:11) და მეთერთმეტედ მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი.

გარდა ამისა, მოსკოველებმა ფინალურ ტურნირში დაამარცხეს „ლევსკი-სპარტაკი" (ბულგარეთი) — 3:0 (15:4, 15:4, 15:12) და ნიმი (უნგრეთი) — 3:2 (15:6, 11:15, 11:15, 15:5, 15:12).

— „დინამოს" ფრენბურთელმა ქალებმა, რომელთაც გ. ახვლედიანი და გ. ვოლკოვა წვრთნიან, ევროპის საკლუბო ასპარეზობაში კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი ძალა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სახელმწიფო მწვრთნელმა ფრენბურთში ი. დერევიაგინმა. — მოსკოველებს მეტად ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ. ბულგარეთის, გდრ-ისა და უნგრეთის ფრენბურთელები, რომლებსაც ისინი ამ შეჯიბრებაში ხვდებოდნენ, თავიანთ ქვეყნებში ნაკრები გუნდების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ. რაც შეეხება ნიმს, 1973 წელს იგი უკვე იყო საპატიო ჯილდოს მფლობელი.

ხელბურთი

ლვოვსა და ალიტუსში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები ხელბურთელ ვაჟთა შორის.

თბილისის „ბურევესტნიკი" ლიტვის ქალაქ ალიტუსში ასპარეზობს. მან შეჯიბრების სტარტზე დაამარცხა ლენინგრადის „ნევა" ანგარიშით 27:23. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — „გრანიტასი" (კაუნასი) 27:20, „კუნცევო" (მოსკოვი) — ასკ (კიევი) 18:14.

ლვოვის ჯგუფში პირველი დღის მატჩები ასე დამთავრდა: ასკ (მინსკი) — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 29:24, ცსკა — „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) 27:27, ასკ (ლვოვი) — ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 22:19.

სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, რომელსაც 22 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან: „ბურევესტნიკი" (19 ქულა), ცსკა (18), „კუნცევო" (17), ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი (12), „ალუმინსტროი", „გრანიტასი", კიევის ასკ, „უნივერსიტეტი" (10-10), მინსკის ასკ, ლვოვის ასკ (7-7), „ნევა" (2).

კალათბურთი

შედგა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩები.

ლენინგრადი. ადგილობრივმა „სპარტაკმა" დაამარცხა ვილნიუსის „სტატიბა" ანგარიშით 99:82 (53:36).

მინსკი. რტი-მ მოუგო შეხვედრა რიგის ასკ-ს — 84:73 (43:37).

წვიმასა და ქარში

სევასტოპოლში დამთავრდა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში, რომელშიც საგზაო საბჭოების ნაკრები კოლექტივები მონაწილეობდნენ. ამიერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის" ღირსებას თბილისელი სპორტსმენები იცავდნენ.

ორდღიან ტურნირში საერთო გუნდური პირველობა მოსკოვის გზის სპორტსმენებმა მოიგეს. ისინი უძლიერესნი იყვნენ ადგილიდან და მრგვალ სტენდზე შეჯიბრებაშიც.

საქართველოს წარგზავნილები როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში II ადგილებზე გავიდნენ და, ცხადია, კომპლექსურ ჩათვლაშიც მეორენი იყვნენ.

პირად პირველობაში მრგვალ სტენდზე სროლაში „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა მოსკოველი ა. ჩერკასოვი, რომელმაც 200-დან 192 ქულა მოაგროვა. II ადგილი წილად ხვდა თ. იმნაიშვილს — 189, III — ტ. ქლენტს — 188.

ადგილიდან სროლა მოიგო ასევე მოსკოველმა ვ. მასლოვმა — 173 ქულა. საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო თბილისელი ზ. მაჩხანელი, იგი IV ადგილზე გავიდა — 170 ქულა.

აღსანიშნავია, რომ ორივე დღეს სასროლეთზე ძლიერი ქარი ქროდა.

სროლა

მწვრთნელებს — მაღალი კვალიფიკაცია

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ ამას წინათ სასარგებლო ღონისძიება მოაწყო: ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მიიწვიეს ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელები. ეს ღონისძიება მით უფრო საჭირო იყო, რომ ახლა ფეხბურთის მწვრთნელები, რომლებიც არ აიმაღლებენ სპორტული ცოდნის დონეს, არ გაივლიან საკვალიფიკაციო კურსებს, გუნდებში სამუშაოდ არ დაიშვებიან. სწორედ ამ მიზნით მოეწყო სემინარები, რომელიც გაირა 124 კაცმა. მწვრთნელებმა მოისმინეს ლექციები ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში, ტაქტიკაში, დაესწრნენ თბილისის „დინამოს" პრაქტიკულ ვარჯიშებს, გაეცნენ „ვანთიადის" სპეციალიზებული სპორტსკოლების საქმიანობას. თითოეულ მწვრთნელს მიცემული ჰქონდა დავალებები საკონტროლო სამუშაოების შესასრულებლად, რის შემდეგაც ექნებოდა გამოცდების ჩაბარების უფლება. გამოცდები ჩაიბარა ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთაგან შემდგარმა კომისიამ.

უდავოდ მადლობას იმსახურებენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი და პედაგოგები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ფეხბურთის სპეციალისტთა მოსამზადებელი კურსები მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

90 მწვრთნელმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები. დანარჩენები კი, ვალდებულნი არიან უახლოეს ხანებში ჩააბარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გუნდებში სამუშაოდ არ დაიშვებიან.

მაგრამ არ შეიძლება გულისტკივილით არ აღინიშნოს ზოგიერთი მწვრთნელის არასერიოზული დამოკიდებულება საქმისადმი. ჯერ კიდევ გვხვდებიან მუშაკები, რომლებიც ასეთ კარგ, საჭირო წამოწყებას რაღაც გაუგებარი სკეპტიციზმით ხვდებიან. რა ითქმის იმ ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურულ-სპორტულ ხელმძღვანელებზე, რომლებმაც თავიანთი ფეხბურთის გუნდების მწვრთნელები არ მოავლინეს სემინარებზე (ცხინვალიდან, ფოთიდან, ტყიბულიდან, გაგრიდან, ტყვარჩელიდან, ცხაკაიადან, ზესტაფონიდან, ახმეტიდან, კასპიდან, ახალქალაქიდან, ხობიდან, გურჯაანიდან)? იმ მწვრთნელთა მიმართ, რომლებიც სემინარზე არ გამოცხადდნენ, საქართველოს ფეხბურთის სამმართველო სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს. თუ აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები კარგად ჩაუფიქრდებიან შექმნილ მდგომარეობას, აუცილებლად მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ღონისძიებას, რომელსაც რესპუბლიკური სპორტკომიტეტი ატარებს, მეტი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით უნდა მიდგომა.

ი. მჭედლიშვილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ლიმა. პერუში სტუმრადაა უნგრეთის ნაკრები, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში სსრ კავშირის გუნდთან ერთად მოხვდა. უნგრელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი წააგეს ამ ქვეყნის ნაკრებთან ანგარიშით 2:3 (პირველი ტაიმი — 1:1). უნგრელთაგან ბურთები გაიტანეს ტოროჩიკმა და ნადმა.

ლონდონი. ცნობილია, რომ ინგლისის ნაკრები იშვიათად მარცხდება „უემბლის" სტადიონზე, მაგრამ ამ იშვიათ დამარცხებათა რიცხვს დაემატა კიდევ ერთი: ინგლისელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი წააგეს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებთან — ჰოლანდიელებთან — 0:2.

მასპინძელთა კარში ორივე ბურთი პირველ ტაიმში გაიტანა ჰოლანდიელთა ახალგაზრდა ნახევარმცველმა პეტერსმა (სხვათა შორის, მხოლოდ პეტერსი და კიდევ 2 მოთამაშე არ გამოდიოდნენ მსოფლიოს 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში. დანარჩენი ჰოლანდიელი ფეხბურთელები კი ფინალის მონაწილენი იყვნენ).

მატჩის დამთავრების შემდეგ ინგლისის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა დ. რივიმ განაცხადა: „ჰოლანდიის ნაკრებმა, რომელსაც კრუიფი, ნეესკენსი და რენსენბრინკი ედგნენ სათავეში, „უემბლიზე" წაიკითხა ლექცია თანამედროვე ფეხბურთზე. ჰოლანდიელები შესანიშნავად თამაშობდნენ, დამაჯერებლად ფლობდნენ ბურთს, ზუსტად ახორციელებდნენ კომბინაციებს და ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს". 90 ათასმა მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა სტუმრები ლამაზი თამაშისთვის.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ჰოლანდიელთა პირველი გამარჯვებაა ინგლისელებთან.

დუბლინი. ირლანდიის ნაკრებმა თავის მინდორზე ამხანაგური მატჩი წააგო ესპანეთის ფეხბურთელებთან — 0:1. ერთადერთი გოლი მე-10 წუთზე გაიტანა სატრუსტეგიმ.

ბოლო 6 წლის მანძილზე ირლანდიელებმა პირველად წააგეს საკუთარ მინდორზე.

გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ქუთაისის „ტორპედოსა" და იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანის „ოლიმპიას" შორის.

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 09746